განკარგულება:**გ-49. 49263102**
თარიღი:**06/11/2026**

2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 4 ნოემბრის N48-482630885 წერილი, რომლითაც ითხოვს **2**026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე**:**

1. მოწონებულ იქნეს „სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის #96 დადგენილების შესაბამისად, 2026-2027 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით (თან ერთვის).

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი № 1

სტიქიის პრევენციის მიზნით 2026-2027 წელს დასაფინანსებელი პროექტები		
N	**პროექტის დასახელება**	**პროექტის სრული ღირებულება**
1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	23 400,00
2	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში ნაპირსამაგრი კედლის მოწყობის სამუშაოები	125 908,00
3	ქალაქ წყალტუბოში, ბარათაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	95 900,00
4	ქალაქ წყალტუბოში, კლდიაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	31 800,00
5	ქალაქ წყალტუბოში, ლერმონტოვის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	181 000,00

6	ქალაქ წყალტუბოში, მესხის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	183 000,00
7	ქალაქ წყალტუბოში, ნიკოლაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	36 000,00
8	ქალაქ წყალტუბოში, ქუთაისის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	131 800,00
9	ქალაქ წყალტუბოში, ხვამლის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	54 585,00
10	ქალაქ წყალტუბოში, ლერმონტოვის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	31 641,00
11	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები	836 364,00
	ჯამი	1 731 398,00